GIPA
In hoc signo vinces

სტუდენტთა ინსტრუქცია პლაგიატის თავიდან არიდების შესახებ

სტუდენტთა ინსტრუქცია პლაგიატის თავიდან არიდების შესახებ

პლაგიატის მნიშვნელობა

პლაგიატი წარმოადგენს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის, როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.

პლაგიატის მაგალითები

- აბზაცების, წინადადების ან წინადადებების ნაწილების სიტყვასიტყვით გადაწერა, ციტირების და წყაროს მითითების გარეშე;
- აბზაცების ან წინადადებების პერიფრაზირება წყაროს მითითების გარეშე;
- სხვა ადამიანის აზრის, ნამუშევრის, მონაცემების ან კვლევის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- ვებგვერდიდან ტექსტის ან ცხრილის დაკოპირება წყაროს მითითების გარეშე;
- სხვა ადამიანის მიერ ზეპირად გამოთქმული აზრის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- სხვა ადამიანის მიერ მომზადებული ნაშრომის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე.

ტერმინთა განმარტება

„ნაშრომი“ - სხვა ადამიანების სიტყვები, აზრები (დაწერილი ან ნათქვამი), გრაფიკული გამოსახულება, ცხრილი, დიაგრამა, ნახატი, სხვადასხვა სახის მონაცემები, ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია, სატელევიზიო გადაცემა და სხვა.

„წყარო“ - როგორც გამოქვეყნებული (წიგნი, სტატია, გაზეთი, სახელმძღვანელო, ვებგვერდი, ფილმი და სხვა), ასევე გამოუქვეყნებელი მასალა (სტუდენტის ნაშრომი, ბლოგი, ლექციის ჩანაწერები, კონსპექტი, ლექცია, ზეპირი სიტყვა და სხვა).

სხვა ადამიანების მიერ მომზადებული ნაშრომის გამოყენება არ ნიშნავს პლაგიატიზმს, წყაროს სწორად მითითების, პერიფრაზირების და სწორი ციტირების შემთხვევაში. წყაროს მითითება მკითხველს აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში მოძებნოს თქვენ მიერ გამოყენებული მასალა.

პლაგიატის დაუშვებლობა

უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტს, ეკრძალება პლაგიატის ჩადენა.

უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტს, ეკრძალება სხვისი შრომის ექსპლუატაცია სხვის/სხვების მიერ გაწეული შრომის სათანადო აღნიშვნის გარეშე.

პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

პლაგიატის აღმოჩენის მიზნით, უნივერსიტეტში გამოიყენება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროები და საძიებო სისტემები.

პლაგიატზე რეაგირების პროცედურები

სტუდენტის მხრიდან სასწავლო პროცესში შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდების პერიოდში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება არადამაყოფილებელი შეფასება (F) საგანში.

საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის წინასწარ განხილვის/დაცვის ეტაპზე პლაგიატის ჩადენის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს/დოქტორანტს უფორმდება არადამაყოფილებელი (F) შეფასება ნაშრომში.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის საკვალიფიკაციო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო, ხოლო დოქტორანტურის შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭო განიხილავს მინიჭებული აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის საკითხს.

პლაგიატის გამოვლენისას უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციის, ხოლო დოქტორანტურის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე, დისციპლინური კომისია (რომლის მუშაობის წესს არეგულირებს უნივერსიტეტის ქცევისა და ეთიკის კოდექსი), უფლებამოსილია გაატაროს შემდეგი სახის დისციპლინური ღონისძიება:

- შენიშვნა;
- საყვედური;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- სხვა პასუხისმგებლობა.

დისციპლინური კომისიის სხდომას სტუდენტის მხრიდან პლაგიატის გამოვლენის საკითხის განხილვისას შესაძლებელია დაესწროს და თავისი მოსაზრებები და მტკიცებულებები წარმოადგინოს ნაშრომის ავტორმა.

პირი, რომლის მიმართაც განხორციელდა დისციპლინური სახდელის დაკისრება პლაგიატის ჩადენის გამო, უფლებამოსილია კომისიის გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

როგორ ავირიდოთ თავიდან პლაგიატის შემთხვევები

სხვა ავტორის მასალის გამოყენების შემთხვევაში, მიუთითეთ წყარო.

მიუხედავად იმისა, იყენებთ პირდაპირ ციტატას, თუ აკეთებთ პერიფრაზირებას (გადმოსცემთ სხვის აზრს თქვენის სიტყვებით), აუცილებლად მიუთითეთ ავტორი.

მოერიდეთ მცირედ, „კოსმეტიკურ“ ცვლილებებს.

მაგალითად, რამდენიმე სიტყვის ან წინადადების წყობის შეცვლა არ ნიშნავს, რომ პლაგიატს ადგილი არ ჰქონია. თუ ძირითადი აზრი იგივე რჩება, რაც პირველწყაროში, მიუთითეთ ავტორი.

გადმოეცით აზრი საკუთარი სიტყვებით.

როდესაც ახდენთ პერიფრაზირებას, რამდენიმე სიტყვის შეცვლა არ არის საკმარისი, თუნდაც ახდენდეთ ავტორის მითითებას. პერიფრაზირებისას დახურეთ წყარო და წერეთ საკუთარი სიტყვებით, არ გამოიყენოთ იგივე სიტყვები და წინადადების წყობა რაც პირველწყაროშია.

„ზოგადი ცოდნის“ ციტირება არ არის საჭირო.

თუ იყენებთ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება „ზოგად ცოდნას“ მივაკუთვნოთ, ანუ საზოგადოდ ცნობილია, წყაროს მითითება არ არის საჭირო. მაგალითად, ის, რომ შოთა რუსთაველმა დაწერა ვეფხისტყაოსანი, ზოგადი ცოდნაა.

როდესაც ეჭვი გეპარებათ - მიუთითეთ წყარო.

წყაროს მითითება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველთვის უკეთესია, ვიდრე პირიქით.

APA-სა და ჩიკაგოს ციტირების სისტემები[1]

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სკოლები სარგებლობენ ციტირების APA-სა და ჩიკაგოს სისტემებით. APA-სა და ჩიკაგოს სისტემების ტექსტში წყაროს მითითების წესი ერთმანეთისგან მხოლოდ მცირედით განსხვავდება: ორივე შემთხვევაში, ტექსტში წყაროს გამოყენებისას აუცილებელია მოხდეს წყაროს ავტორის გვარისა და წელის მითითება წინადადების ბოლოს, მაგალითად, (აბაკელია, 1989). თუმცა, ჩიკაგო ნებისმიერ შემთხვევაში გვარისა და წლის მითითების შემდეგ, მოითხოვს გამოყენებული მასალის გვერდის დადასტურებას, როდესაც APA-ს სისტემის მიხედვით, გვერდის მითითება ხდება მხოლოდ პირდაპირი ციტირების დროს (მოცემული მონაკვეთის უცვლელი სახით ბრჭყალებში მითითების შემთხვევაში) საჭირო. მაგალითად, (აბაკელია, 1989, გვ. 51).

გასათალისწინებელია, რომ ტექსტში მოცემული მასალა, არ უნდა აღემატებოდეს 40 სიტყვას, თუკი უცვლელი სახით არის გადმოტანილი გამოყენებული წყაროდან. მცირე ციტატა (40 სიტყვაზე ნაკლები) უნდა ჩაისვას ბრჭყალებში, თუკი უცვლელი სახით გამოიყენება („“). მაგალითად: *„ადმინისტრაციული მეცნიერების დისციპლინებისათვის საჯარო ადმინისტრაცია წარმოადგენს კვლევის უმთავრეს ობიექტს“* (იზორია, 2009 გვ. 16). თუ ავტორის გვარი ნახსენებია ტექსტში, ფრჩხილებში მისი მითითება აღარაა საჭირო, მაგალითად: *იზორიას აზრით, „ადმინისტრაციული მეცნიერების დისციპლინებისათვის საჯარო ადმინისტრაცია წარმოადგენს კვლევის უმთავრეს ობიექტს“ (2009, გვ.16).* APA-ს ტექსტს შიგნით მითითების წესის მიხედვით, თუკი იგივე განაცხადი ინტერპრეტაციის დონეზე იქნებოდა მოცემული, გვერდების მითითება აღარ გახდებოდა საჭირო. იმ შემთხვევაში, თუკი ხდება პერეფრაზირება, მაშინ ავტორის გვარის ხსენებისთანავე, იქვე

[1] მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ საგამომცემლო სახლს აქვს საკუთარი მოთხოვნები როგორც ტექსტს შიგნით, ისე გამოყენებული ლიტერატურის მითითებისას, სოციალურ მეცნიერებებში მეტ-ნაკლებად მაინც იხრებიან ან ციტირების APA-ს ან ჩიკაგოს სისტემებისკენ.

ხორციელდება წლის მითითება ფრჩხილებში. მაგალითად, იზორიას (2009) აზრით, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა დარგის კვლევის ობიექტს საჯარო ადმინისრირება წარმოადგენს.[2]

გასათვალისწინებელია, რომ ციტირების APA-სა და ჩიკაგოს წესი არ იყენებს სქოლიოებს წყაროების მისათითებლად. სქოლიოს გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ავტორის შენიშვნებისა და სხვა ახსნა-განმარტების წარმოდგენის საჭიროების შემთხვევაში.

ვრცელი ციტატა ტექსტში მოათავსეთ ცალკე ბლოკად ბრჭყალების გარეშე:

საინტერესოა იზორიას აზრი ადმინისტრაციული მეცნიერების ინტერდისციპლინური ბუნების შესახებ:

> საჯარო ადმინისტრაციის მრავალმხრივი და სრულყოფილი გაგების მიზნით, ადმინისტრაციული მეცნიერება უზრუნველყოფს ერთგვარ ინტერდისციპლინარულ დისკუსიას. ამისათვის იგი ირჩევს ცენტრალურ თემებს და ამ თემების ირგვლივ უზრუნველყოფს დისციპლინებს შორის დიალოგს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მაგალითად, საჯარო ადმინისტრაციის „გადაწყვეტილების“ თემის ანალიზს. გადაწყვეტილების გარეშე არ არსებობს პოლიტიკური ძალაუფლება, ეკონომიკა, ხელმძღვანელობა, ფსიქოლოგიური კომუნიკაცია. შესაბამისად, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური ასპექტების გარეშე შეუძლებელია საჯარო ადმინისტრაციის გადაწყვეტილების სრულყოფილი გაგება (2009, გვ.20).

---

[2] უშუალოდ ნაშრომში გამოყენებული წყაროების ავტორთა მითითება უნდა მოხდეს მოკლე ფორმით უშუალოდ ტექსტს შიგნით, იმის მიხედვით, ხდება პერეფრაზირება თუ უშუალოდ ტექსტის ბრჭყალებში მოყვანა. ტექსტის პერეფრაზირების გარეშე პირდაპირი ციტირებისთვის საჭიო ხდება გვერდების მითითებაც, რაც ქვევით წამოდგენილ მაგალითებში წილადებით არის გამოსახული: <u>ერთი ავტორი:</u> (იზორია, 2009,/ გვ. 16); <u>ორი ავტორი:</u> (ფრედერიკსონი და გირი, 2006, /გვ. 5) <u>სამი და მეტი ავტორი:</u> (ახვლედიანი და სხვ. 2002, /გვ. 55); <u>უცნობი ავტორი:</u> (ნაშრომის სათაურის პირველი სიტყვა... 2000, /გვ. 87); <u>ორგანიზაცია, როგორც ავტორი:</u> (ორგანიზაციის დასახელების პირველი სიტყვა... 2006, / გვ. 7); <u>ორი ან მეტი ავტორის ნაშრომების ერთდროული გამოყენება:</u> (ბერნდტი, 2002, /გვ 34; ჰარლოუ, 1983, /გვ. 12); <u>ერთი გვარის მქონე ავტორები:</u> (ი. ჯონსონი, 2001, / გვ. 13; ლ. ჯონსონი, 1998, /გვ. 2); <u>ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომი: (გირი, 2000, /გვ. 15, 2006, /გვ. 87); ერთი ავტორის რამდენიმე ნაშრომი ერთსა და იმავე წელს: (გირი, 2000(ა), /გვ. 3, 2000(ბ), გვ. 77); პირადი კომუნიკაცია - ინტერვიუ, წერილი, ელ. ფოსტა და სხვა:</u> (ე. ძნელაძე, პირადი კომუნიკაცია, 5 იანვარი, 2012). არ მიუთითოთ პირადი კომუნიკაცია ბიბლიოგრაფიაში; <u>ციტირებული წყაროს ციტირება:</u> (ჯონსონი, ციტირებული სმიტთან, 2003, / გვ. 102); <u>ხელახალი გამოცემა:</u> (ჯონსონი, 2008 [1938]), / გვ. 123); <u>ელექტრონული წყარო</u> - მიუთითეთ იმავე სტილში, როგორც რომელიმე სხვა დოკუმენტი: (იზორია, 2009, /გვ. 16); <u>ენციკლოპედია, ლექსიკონი:</u> (სათაურის პირველი სიტყვა... 2000, /გვ. 132); <u>საგაზეთო სტატია:</u> (გაზეთის სახელწოდების პირველი სიტყვა, 2012); <u>უცნობი ავტორი და უცნობი თარიღი</u> - ასეთ შემთხვევაში ფრჩხილებში ჩაწერეთ დოკუმენტის სახელწოდების პირველი სიტყვა და მიუთითეთ, რომ ავტორი და/ან თარიღი უცნობია: (საქართველოს... ავტორი და თარიღი უცნობია); <u>წყარო დანომრილი გვერდების გარეშე</u> - ასეთ შემთხვევაში, შეეცადეთ მიუთითოთ ინფორმაცია, რომელიც გააადვილებს ციტირებული ტექსტის მოძებნას, მაგალითად, ქვესათაური ან აბზაცის ნომერი: (სმიტი, 1997,/ აბზაცი 3).

თუკი აღნიშნული თქვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად რესპონდენტებისგან მიღებული პოზიცია, აზრი ან დამოკიდებულებაა, მაშინ გადახარეთ კიდეც ტექსტი და მიუთითეთ ბრჭყალებში.

ნაშრომის ბოლოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის წესი APA-სა და ჩიკაგოს სისტემების მიხედვით

ყველა წყარო, რომლის ციტირებაც მოხდა ტექსტში, უნდა იყოს მითითებული ნაშომის ბოლოს სრული სახით. APA-სა და ჩიკაგოს სისტემებში გამოყენებული წყაროების სიის ჩამონათვალი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, როგორც წყაროს მითითების, ასევე სახელწოდების მიხედვით. APA-ს სისტემის გამოყენების შემთხვევაში, წყაროების ჩამონათვალს ვუწოდებთ - გამოყენებულ ლიტერატურას, ხოლო ჩიკაგოს სისტემის შემთხვევაში - ბიბლიოგრაფიას. ქვემოთ თითოეული სისტემის ფარგლებში წყაროს მითითების წესი მოცემულია ცალ-ცალკე.

ბიბლიოგრაფიის მითითების წესები ჩიკაგოს სისტემის მიხედვით

The Chicago Manual of Style, 16th edition, Accessed July 19, 2010.

ბიბლიოგრაფია განათავსეთ ახალ გვერდზე და მიუთითეთ ყველა ის წყარო, რომელიც თქვენს ნაშრომში გამოიყენეთ. ჩამონათვალში ავტორები უნდა მიუთითოთ *Chicago*-ს სისტემის მიხედვით, რომლის ლოგიკაა ჯერ ავტორის გვარისა და სახელის სრულად მითითება, რასაც უშუალოდ მიჰყვება წყაროს დასახელება, გამოცემის ადგილის, საგამომცემლო სახლისა და გამოცემის წელის მითითება.

ბიბლიოგრაფია მიუთითეთ იმ ენაზე, რომელზედაც კონკრეტული ნაშრომი არის შესრულებული. თუ გამოყენებული გაქვთ ნათარგმნი ლიტერატურა, მიუთითეთ ის თარგმანის ენაზე. ბიბლიოგრაფიაში მოტანილი წყაროები დაალაგეთ ანბანის მიხედვით. თავდაპირველად განათავსეთ ქართულენოვანი, შემდეგ კი უცხოენოვანი წყაროები.

ბიბლიოგრაფია:

ავტორები

ერთი ან რამდენიმე ავტორის ნაშრომის მითითებისას, იქნება ეს წიგნი, სტატია თუ ელექტრონული წყარო, გამოიყენეთ შემდეგი წესი: მიუთითეთ ჯერ გვარი, შემდეგ კი სახელი სრულად, წყაროს სახელწოდება, გამოცემის ადგილი: საგამოცემლო სახლი, წელი.

ერთი ავტორი

Thelen, Kathleen. *How Institutions Evolve: The Political Economy of Skills in Germany.* Cambridge: Cambridge University Press, 2004

ორი ავტორი

Gourevitch, Peter and James Shinn. *Political Power and Corporate Control: The New Global Politics of Corporate Governance.* New Jersey: Princeton University Press, 2005.

ორზე მეტი ავტორი

De la Bédoyère, Camilla, Ihor Holubizky, Julia Kelly, Michael Kerrigan, James Mackay, William Matar, Tom Middlemos, Michael Robinson, and Iain Zaczek. *A Brief History of Art*. London: Flame Tree Publishing, 2006.

ორგანიზაცია, როგორც ავტორი

World Bank. *Strategies for Sustainable Financing of Secondary Education in SubSaharan Africa.* Washington, D.C.: World Bank, 2008.

European Union. European Parliament. *The Impact of German Unification on the European Community.* Working Document No.1. Brussels, 1990.

წიგნი რედაქტორობით

Colhoun, Craig and Brian S. Turner, eds. *The Sage Handbook of Sociology*. London: Sage, 2005.

თავი წიგნიდან, რომელსაც რედაქტორი ჰყავს

Sheringham, Michael. "Archiving." In *Restless Cities*, edited by Matthew Beaumont and Gregory Dart, 10-24. London: Verso, 2010.

ელექტრონული წიგნი

Beaumont, Lesley A. *Childhood in ancient Athens: iconography and social history*. London: Routledge, 2012. Accessed May 27, 2013. http://lib.myilibrary.com/Open.aspx?id=428492

სტატია პერიოდულ გამოცემებში

Barber, Marcus. "Global Warming and the Political Ecology of Health: Emerging Crises and Systemic Solutions." *The Australian Journal of Anthropology* 21, no. 3 (2010): 390 – 391

სტატია ელექტრონულ პერიოდულ გამოცემაში

Mulvin, Lynda and Steven E. Sidebotham. "Roman Game Boards from Abu Sha'ar (Red Sea Coast, Egypt)." Antiquity 78, no. 301 (2004): 602-617. Accessed May 27, 2013. url: http://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=a9h&AN=14595148&site=ehost-live.

საგაზეთო სტატია

Oliver, Emmet. "Aer Lingus to Strengthen Fleet." *Irish Times*, February 10, 2006.

ელექტრონული საგაზეთო სტატია

Kelly, Morgan. "Burden of Irish Debt Could Yet Eclipse that of Greece." *Irish Times*, May 22, 2010. Accessed May 4, 2011. http://www.irishtimes.com/newspaper/opinion/2010/0522/1224270888132.html.

აუდიო-ვიზუალური მასალა

The Third Man. Directed by Carol Reed. 1949. London: Optimum, 2006. DVD.

თეზისი

Feeney, Thomas "Seán MacEntee and the Development of Public Policy in Independent Ireland." PhD thesis, University College Dublin, Ireland, 2005.

საკონფერენციო მოხსენება

Balado, Félix. "On the Shannon Capacity of DNA Data Embedding." *In Proceedings of 2010 IEEE International Conference on Acoustics, Speech, and Signal Processing, Dalls, March 14-19, 2010*. Dallas: IEEE, 2010.

<u>სამთავრობო დოკუმენტები და კანონები</u>
Canada. Ottawa. C-34, *Agricultural Marketing Programs Act*. 2d session, 35th Parliament, 1997. Assented to 25 April 1997, *Statutes of Canada* 1997, c. 20.
U.S. Department of the Interior. Minerals Management Service. *An Oilspill Risk Analysis for the Central Gulf and Western Gulf of Mexico*, by Robert P. La Belle. Open-file report 83-119, U.S. Geological Survey. Denver, 1983.

<u>გამოყენებული ლიტერატურის სიის მითითების წესები APA-ს სისტემის მიხედვით[3]</u>

გამოყენებული ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს ნაშრომის ბოლოს. მასში წარმოდგენილი ინფორმაცია აძლევს მკითხველს საშუალებას, მოძებნოს ის წყაროები, რომლებიც თქვენს ნაშრომში გამოიყენეთ. ნაშრომში ნახსენები და გამოყენებული ყველა წყარო მითითებული უნდა იყოს გამოყენებული ლიტერატურის სიაში. *<u>აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით,</u>* პირადი კომუნიკაცია წყაროებს შორის არის ერთადერთი გამონაკლისი, რომლის მითითება ხდება ტექსტში მხოლოდ [თარიღი, პირადი/სკაიპ/ზოომ ინტერვიუ] და არა გამოყენებულ ლიტერატურაში (სწორედ ამიტომ პირადი წყაროების მითითება კონფიდენციალობის დაცვით ცალკე დანართის სახით შეიძლება გააკეთოთ). გასათვალისწინებელია, რომ წყაროს ტიპს განსაზღვრავს არა მოძიების ფორმა, არამედ ის, თუ რა სახის დოკუმენტთან გვაქვს შეხება (სტატიაა, წიგნია, ანგარიშია თუ სხვა). Website აირჩიეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არცერთ სხვა ფორმას არ შეესაბამება წყარო (იაკობიძე, 2020).

<u>აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით,</u> ორი ავტორის შემთხვევაში ტექსტში თხრობისას გამოიყენეთ და კავშირი, ტექსტში ციტატის დამოწმებისას და გამოყენებულ ლიტერატურაში კი & სიმბოლო. მაგ., თხრობისას ტექსტში: სანდერსმა და იანგმა (2020) დაადგინეს, რომ....., ხოლო ტექსტში ციტირების დამოწმებისას: (Sanders & Jang, 2020). გამოყენებულ ლიტერატურაში კი ამ წყაროს მითითებისას ასეთი სახის მითითება გააკეთეთ: Sanders, F. A. & Jang, T.D. (2020)… (იაკობიძე, 2020).

გამოყენებული ლიტერატურის სია განათავსეთ ახალ გვერდზე ცენტრში. ჩამონათვალში ავტორები უნდა მიუთითოთ APA-ს სისტემის მიხედვით, რომლის ლოგიკაა ჯერ ავტორის გვარის, შემდეგ კი - სახელის ინიციალის, გამოცემის წელის, შემდეგ უშუალოდ წყაროს დასახელების, გამოცემის ადგილისა და საგამომცემლო სახლის მითითება *<u>(აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით, გამოცემის ადგილის მითითება წიგნების შემთხვევაში სავალდებულო აღარაა და ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ მასალებშიც არ გვხვდება უკვე)</u>*. მნიშვნელოვანია იმაზე ხაზგასმა, რომ APA-ს სისტემა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამოცემის წელის დასაწყისშივე მითითებას, რომელიც ფრჩხილებში უნდა იყოს ჩასმული. ამავე დროს, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადახრაზეც, რომელიც წიგნების შემთხვევაში თავად წიგნის სახელწოდებაა, ხოლო პერიოდული გამოცემის

[3] ადაპტირებულია APA-2019 წლის მე-7-ე რედაქტირებულ ვარიანტთან.

შემთხვევაში კი თავად პერიდული ჟურნალის სახელწოდება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ელექტრონული წყაროების გამოყენებული ლიტერატურის სიაში მითითებისას აღნიშნული უნდა იყოს მოძიების თარიღი (*(აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით, არაა სავალდებულო*) და ის ბმული (ჰიპერლინკი), რომლიდანაც მოძიებულია ელექტრონული მასალა და მისი მეშვეობით პირდაპირ წყაროზე გადასვლაა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურის სიაში წყაროებს შორის დაშორება, *აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით,* ორმაგი უნდა იყოს და თითოეული წყაროს მითითებისას მომდევნო ხაზებზე გასავლა გამოყოფილი უნდა იყოს 0.5 ინტერვალით. წყაროებს შორის გამოტოვება უნდა ავიცილოთ თავიდან. (იაკობიძე, 2020).

გამოყენებული ლიტერატურის სიაში წყარო მიუთითეთ იმ ენაზე, რომელზედაც კონკრეტული ნაშრომი არის შესრულებული. თუ გამოყენებული გაქვთ ნათარგმნი ლიტერატურა, მიუთითეთ ის თარგმანის ენაზე.

გამოყენებული ლიტერატურის სიაში მოტანილი წყაროები დაალაგეთ ანბანის მიხედვით. თავდაპირველად განათავსეთ ქართულენოვანი, შემდეგ კი უცხოენოვანი წყაროები.

გამოყენებული ლიტერატურის სიაში ავტორთა რაოდენობის მითითებისას არსებობს გარკვეული შეზღუდვები. ასე მაგალითად, თუკი აპა-ს მე-6 რედაქციის მიხედვით, უნდა მივუთითოთ 7 ავტორის გვარი და სახელის ინიციალი, ხოლო თუ ავტორთა რაოდენობა რვაზე მეტია, მიეთითება მე-6 ავტორი, შემდეგ კი მრავალწერტილი და ბოლო ავტორი, აპა-ს 7 რედაქციის მიხედვით, მისათითებელ ავტორთა რაოდენობა, ასეთის არსებობის პირობებში, 20 ავტორით განისაზღვრა, ხოლო თუკი თუ ავტორთა რაოდენობა 21-ზე მეტია, უნდა მიეთითოს მე-19 ავტორი, შემდეგ მრავალწერტილი და ბოლო ავტორი საკუთარ ინიციალებთან ერთად. (იაკობიძე, 2020). ამ ინიციატივით, აპა-ს მე-7 რედაქცია ავტორთა მეტი რაოდენობით მოხსენიებისკენ გვიბიძგებს.

ქვევით შემოთავაზებულია კონკრეტული მაგალითები შესაბამისი წყაროების მიხედვით:

<u>**წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს:**</u>
ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამომცემელი.

მაგალითად: კიდი, უ. (2002). *კულტურა და იდენტობა.* პალგრეივ მაკმილანი.

Carson, N.R. (1998). *Psychology of behaviour.* London: Allyn & Bacon.

<u>**წიგნი, რომელსაც ორი ან მეტი ავტორი ჰყავს:**</u>
ავტორის გვარი, ინიციალი., და ავტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *სათაური.* გამომცემელი.

მაგალითად: სუეილსი, ჯ.მ., და ფიკი, ქ.ბ. (1994). *აკადემიური წერა მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.* მიჩიგანის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Hogg, M.A. & Vaughan G.M. (2008). *Social psychology.* Prentice Hall.

<u>**წიგნი, რომელსაც რედაქტორი ჰყავს:**</u>
ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *სათაური.* გამომცემელი.

მაგალითად: სტანტონი, დ.ქ., და ფარბმანი, ე. (რედ.). (2003). *ქალის ავტოგრაფი: ავტობიოგრაფიის თეორია და პრაქტიკა.* იბის პრესი.

Booth, D. (Ed.). (1994). *Rethinking social development: Theory, research and practice*. Longman.

<u>შენიშვნა:</u> *<u>აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით,თუ ავტორი და რედაქტორი ერთი და იგივეა, მიეთითება მხოლოდ ავტორი და რედაქტორის შემთხვევაში გამეორება აღარ ხდება საჭირო. ანალოგიურია ავტორისა და გამომცემლის დამთხვევის შემთხვევაშიც.</u>*

<u>**სტატია ან დამოუკიდებელი თავი წიგნიდან, რომელსაც ერთი ან რამდენიმე რედაქტორი ჰყავს:**</u>

სტატიაში - ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის ან თავის სათაური.
წიგნში - რედაქტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). *წიგნის სათაური* (გვერდები). გამომცემელი.

მაგალითი: შილზი, ე. (2002). ცენტრი და პერიფერია. წიგნში სპილმენი, ლ. (რედ.). *კულტურის სოციოლოგია.* ბლექველი. (APA, 6th ed.)

Beiner, R.A., (2000). Arendt and Nationalism. In D.A. Villa (Ed.) *The Cambridge Companion to Hannah Arendt* (pp. 44- 64). Cambridge University Press. (APA, 6th ed.)

<u>შენიშვნა:</u> *<u>აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით,</u>* თუ წყარო არის მთლიანი ტექსტის ნაწილი (სტატია ჟურნალიდან, წიგნის ნაწილი), მაშინ მისი დასახელება დახრის გარეშე იწერება.

მაგალითი: შილზი, ე. (2002). ცენტრი და პერიფერია. წიგნში სპილმენი, ლ. (რედ.). კულტურის სოციოლოგია. ბლექველი. (APA, 7th ed.)

Beiner, R.A., (2000). Arendt and Nationalism. In D.A. Villa (Ed.) The Cambridge Companion to Hannah Arendt (pp. 44- 64). Cambridge University Press. (APA, 7th ed.)

<u>**ხელახლა გამოცემული წიგნი:**</u>
ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *სათაური.* (მერამდენე გამოცემაა). გამომცემელი.

მაგალითი: სორენსონი, შ. (2002). როგორ *დავწეროთ კვლევითი ნაშრომი.* (მე-3 გამ.). არკო.

<u>**წიგნი, რომელსაც ავტორი ან რედაქტორი არა ჰყავს:**</u>

წიგნის სათაური. (გამოცემის თარიღი). გამომცემელი.

მაგალითი: *ვებსტერის ახალი ლექსიკონი.* (1961). მერიამი.

<u>**მრავალტომიანი ნაშრომი:**</u>
ავტორის გვარი, ინიციალი. (რედ.). (გამოცემის თარიღი). *წიგნის სათაური.* (ტომები). გამომცემელი.

მაგალითი: ბერი, ჯ.ვ., სეგალი, მ.ჰ., და კაგიციბასი, ს. (რედ.). (1996). *კროსკულტურული ფსიქოლოგიის ცნობარი.* (1-3 ტ.). სეიჯი.

<u>**ლექსიკონი:**</u>
სათაური. (მერამდენე გამოცემაა). (გამოცემის თარიღი). გამომცემელი.

მაგალითად: *ოქსფორდის მოკლე ინგლისური ლექსიკონი.* (მე-5 გ.). (2002). ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

<u>**სტატია ჟურნალიდან:**</u>
ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *ჟურნალის სათაური,* ტომის ნომერი (<u>*აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით, გამოცემის ნომერიც*</u>), გვერდები (არ იწერება გვ.)

მაგალითად: უიტკროფტი, გ. (2004, ივნისი). ტონი ბლერის ტრაგედია. *ატლანტიკა,* 293, 56-72.(APA, 6th ed.)

Eisenberg, N. (2000). Emotion, regulation and moral development. *Journal of Asian Studies*, 55, 51-80. (APA, 6th ed.)

<u>***შენიშვნა:*** *აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით,*</u> ყველა პერიოდულ გამოცემას უნდა მოეთითოს გამოცემის ნომერი. თუ აქამდე, ტომის მიღმა გამოცემის ნომერი მხოლოდ მაშინ იწერებოდა, როცა თემატური/საკითხების მიხედვით ნომრები გამოიცემოდა, ახლა ეს ვალდებულება გავრცელდა ყველა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემაზე. ჟურნალის დასახელება და ტომი იწერება დახრილი შრიფტით. ჟურნალის დასახელება და ტომი მძიმით გამოიყოფა, მაგრამ მძიმის დახრა არ ხდება. ჟურნალის გამოცემის ნომერი და გვერდები არ იწერება დახრილი შრიფტით. გვერდებს შორის იწერება ტირე. (იაკობიძე, 2020).

Monson, C. M., Fredman, S. J., & Adair, K. C. (2008). Cognitive-behavioral conjoint therapy for posttraumatic stress disorder: Application to Operation Enduring and Iraqi Freedom veterans. *Journal of Clinical Psychology, 64*, 8, 958–971. (APA, 7th ed.)

<u>**სტატია გაზეთიდან:**</u>
ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). სტატიის სათაური. *გაზეთის სათაური,* გვერდები (იწერება გვ.).

<u>შენიშვნა:</u> *<u>აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით,</u>* წყაროს თარიღი სავალდებულოა მივუთითოთ სრულად. თუ წელთან ერთად გვაქვს თვე და რიცხვი, მიუთითეთ თვე და რიცხვი. თუ თარიღი უცნობია, თარიღის ადგილას ჩაწერეთ (უთარიღო) ან (n.d.). (იაკობიძე, 2020).

მაგალითად: მოურისი, დ. (2003, 17 მარტი). პოლიტიკა - ბინძური თამაში? *ნიუ იორკ თაიმსი,* გვ. 11-12.

Dempsey, A. (2003, August 19). A shoulder to lean on in the lonely crowd: Feet on the street, a new project by the Samaritans. *The Irish Times*, pp. 11.

<u>**დისერტაცია ან ავტორეფერატი:**</u>
ავტორის გვარი, ინიციალი. (გამოცემის თარიღი). *დისერტაციის სათაური.* დისერტაცია, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

მაგალითად: წულაძე, ლ. (2003). *სოციალიზაციის ზოგიერთი პრობლემა ქართული კულტურის კონტექსტში (ავტონომიურობა და სანქციები).* საკანდიდატო დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

Moore, N.A. (2001). *The Celtic Tiger and the Welsh Dragon: Urban Redevelopment in Dublin Docklands and Cardiff Bay, 1987-2000* (Unpublished doctoral dissertation). University College Dublin, Dublin

<u>**ლექციაზე მიცემული მასალა:**</u>
ლექტორის გვარი, ინიციალი. (თარიღი). *მასალის სათაური.* მასალა წარმოდგენილი ამა და ამ ლექციაზე, უნივერსიტეტი, მისი მდებარეობა.

მაგალითად: წულაძე, ლ. (2005, აპრილი). *მშობელთა რწმენის სისტემები კულტურაში.* მასალა წარმოდგენილი კულტურის სოციოლოგიის ლექციაზე, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისი სახ.-ფო უნივერსიტეტი, თბილისი.

<u>**სამთავრობო დოკუმენტი:**</u>
სამინისტროსა თუ დაწესებულების სახელწოდება. (გამოცემის თარიღი). *დოკუმენტის სათაური* (პუბლიკაციისა თუ ბრძანების ნომერი). გამომცემელი.

მაგალითად: მენტალური ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტი. (1982). *ტელევიზია და ქცევა: სამეცნიერო პროგრესის 10 წელი* (DHHS პუბლიკაცია A 82-1195). აშშ-ს მთავრობის გამომცემლობა.

Department of the Environment, Ireland. (1994). *Agricultural & Farm Development: The Planning Issues* (PL 6). Department of the Environment.

European Union, European Commission for the Environment. (2009). Adapting to climate change: Towards a European framework for action (White Paper 52009DC0147). http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:52009DC0147:EN:NOT

<u>**საპარლამენტო და იურიდიული დოკუმენტაცია**</u>

დოკუმენტის სახელწოდება, სამინისტროსა თუ დაწესებულების სახელწოდება, (გამოცემის თარიღი).

Human Rights Commission Act, Government of Ireland, (2000).

<u>არანაბეჭდი წყაროები:</u>

გვარი, ინიციალი. (პოზიცია). (თარიღი). *წყაროს სათაური* [ფილმი, ტელეგადაცემა...]. გამომცემელი.

მაგალითად: რედფორდ, რ. (რეჟისორი). (1980). *უბრალო ადამიანები [ფილმი]. პარამაუნტი.*

Bender, L.A. (Producer) & Tarantino, Q. A (Director). (1994). *Pulp fiction {Motion picture].* Miramax Films.

<u>მასალა ინტერნეტიდან:</u>

ავტორის გვარი, ინიციალი. (ინტერნეტში პუბლიკაციის თარიღი). დოკუმენტის სათაური. *ნაშრომის სათაური სრულად.* <u>ნაშრომის ინტერნეტში მოძიების თარიღი</u> *<u>(აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით, გამოცემის ინტერნეტსივრცეში მოძიების აღმნიშვნელის „მოძიებული 18 აპრილს, 2011/</u>*Retrieved April 18th, 2011, from*<u>“ და მოძიების თარიღის მითითება, მაშინ როცა მისი უშალო წყარო ჰიპერლინკითაა</u>* https:// *<u>მოცემული, სავალდებულო აღარაა. „მოძიებულია/</u>*Retrieved from *<u>მითითება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება საჭირო თუკი, წყაროსთან მიმართებაში მოძიების თარიღის მითითება ხდება აუცილებელი. ეს მაგალითად შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ მიზეზს, როგორიცაა ინტერნეტსივრცეში განთავსებული სტატიის/წყაროს შეცვლის შესაძლებლობა ან შეხება გვაქვს დაუარქივებელ წყაროსთან)</u>* და საიტის მისამართი ჰიპერლინკების მეშვეობით DOI და URL ფორმატების ნაცვლად.

Gambill, G (April 6th 2011). Assad's survival strategy. *Foreign Policy.* http://www.foreignpolicy.com/articles/2011/04/06/assads_survival_strategy.

ბლოგი - J Dean. (2008, May 7). When the self emerges: Is that me in the mirror? http://www.spring.org.uk/the1sttransport. (2004, September 26).

<u>ინტერნეტ-წიგნი</u>

ბრაიანტ, პ. (1999). *ბიომრავალგვარობა და დიალოგი.* მოძიებული 4 ოქტომბერს, 1999, http://www.....

<u>საგაზეთო სტატია ინტერნეტიდან</u>

აზარი, ბ., და მარტინი, ს. (ოქტომბერი, 1999). უმაღლესი სკოლის ფსიქოლოგია. *APA მონიტორი.* მოძიებულია 7 ოქტომბერი, 1999, http:/www.....
Kelly, M. (2010, May 22). Burden of Irish debt could yet eclipse that of Greece. *The Irish Times.* Retrieved from http://www.irishtimes.com/newspaper/opinion/2010/0522/1224270888132.html.

<u>საკონფერენციო მოხსენება</u>

Jones, M.K., (2010) Distance learning in Dublin. In M. Forrester (Ed.) *Proceedings of a One-Day International Conference Dealing with Distance Leaning in Ireland* (pp. 210 - 258). Dublin: Collins Press.

<u>ჟურნალის სტატია ინტერნეტიდან</u>

ფაინი, მ., და კურდეკი, ლ.ა. (1993). რეფლექსია. საგანმანათლებლო რეფორმის საკითხებზე. *ამერიკელი ფსიქოლოგი,* 48, 1141-1147. http:/www.....

Borsari, B., Carey, K. B. (2000) Effects of a Brief Motivational Intervention With College Student Drinkers. [Electronic version] *Journal of Consulting and Clinical Psychology*, *68*, 4. 728-733.

<u>ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია</u>

(http:/www..... ის ნაცვლად, ამ შემთხვევაში მითითება ხდება სტატიის ელექტრონული კოდის (DOI:) მიხედვით - მაგ, doi:10.1002/jclp.20511). თუმცა, *<u>აპა-ს მე-7 რედაქციის მიხედვით, სტატიის ელექტრონული კოდირებისა და ელექტრონული მისამართის თანხვედრის გამო, გაუქმდა</u>* DOI აღმონიშვნელისა და შესაბამისი კოდის მითითების ვადებულება და ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის შემთხვევაში შესაბამისი ელექტრონული ბმულის მითითების ვალდებულება გაჩნდა ელექტრონული ბმულის მეშვეობით.

Monson, C. M., Fredman, S. J., & Adair, K. C. (2008). Cognitive-behavioral conjoint therapy for posttraumatic stress disorder: Application to operation enduring and Iraqi freedom veterans. *Journal of Clinical Psychology*, 64, 958-971. (APA, 6th ed.)

Monson, C. M., Fredman, S. J., & Adair, K. C. (2008). Cognitive-behavioral conjoint therapy for posttraumatic stress disorder: Application to Operation Enduring and Iraqi Freedom veterans. *Journal of Clinical Psychology, 64,* 8, 958–971. https://... (APA, 7th ed.)

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ მითითებული ვებგვერდები:

წულაძე, ლ. (2006), *აკადემიური წერის სახელმძღვანელო,* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.

იაკობიძე, ნ. (2020). აპა-ს ციტირების სტილის 7-ე რედაქცია. *მასალა წარმოდგენილი აკადემიური წერის კურსის ფარგლებში.* GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი.

სასარგებლო ელექტრონული ბმულები:

ჩიკაგო-ს სისტემა

https://www.ucd.ie/t4cms/Guide68.pdf

http://lib.trinity.edu/research/citing/Chicago_Author_Date_16th_ed.pdf

http://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html

https://owl.english.purdue.edu/owl/resource/717/06/

APA-ს სისტემა

https://www.ucd.ie/t4cms/Guide67.pdf

http://lib.trinity.edu/research/citing/APA_Style_Citations2009.pdf

http://www.mtroyal.ca/library/files/citation/apa.pdf

http://www.muhlenberg.edu/library/reshelp/apa_example.pdf

Publication Manual of the American Psychological Association or the APA Style website at https://apastyle.apa.org/

ასევე, საკმაოდ მოსახერხებელია ამ სისტემით სარგებლობა, რათა თავიდან აიცილოთ ხელით ლიტერატურის სიის კეთება.

http://www.citationmachine.net